



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მტირალა

მტირალა, ცისკარა, მთა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტ-ტში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე, მდებარეობს – ჩაქვისწყლისა და ყოროლისწყლის წყალგამყოფზე. სიმაღლე 1381 მ. აგებულია შუა ეოცენურის ასაკის ე. წ. „ნალვარევის წყების“ ვულკანურ-დანალექი ქანებით. მ-ს მთა აკავებს ზღვის ტენიან ჰაერს, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში აქ 4520 მმ ნალექი მოდის და ყველაზე ტენიან ადგილად ითვლება, სახელიც სწორედ უხვტენიანობის გამო ეწოდა. მთის კალთები შემოსილია წიფლნარ-მუქწიწვიანებით. მთის დას. კალთა გამოყენებულია საზაფხულო დასასვენებელ ადგილად.
